№ 246 ნოემბერი 25, ოთხშაბათი 1887 ნოემბერი 25, ოთხშაბათი № 246

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

ტფილისი, 24 ნოემბერი

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ერთმა არა სასიამოვნო რომანიულმა შემთხვევამ, რომელმაც თითქმის ყველა მწერლობაში ასტეხა ძლიერი ალიაქოთი, საპოლიტიკო და სადიპლომატიო სარბიელიდგან გადააყენა გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკოსი ჩარლზ დილკი. ეს შესანიშნავი კაცი გლადსტონის წინანდელს სამინისტროში ითვლებოდა გარეშე საქმეთა მინისტრის, გრენვილის, ამხანაგად. როდესაც გლადსტონმა 1886-ს წელს ისევე ხელთ იგდო ინგლისის მეთაურობა, დილკი იძულებული იყო თავი დაენებებინა საპოლიტიკო სარბიელისათვის იმ მრუშობის გამო, რომელსაც ერთი ინგლისელი უჩიოდა.

ჩარლზ დილკი, რომელსაც ისეთის უზნეობის ლაქა დაედო, გამოჩენილი დიპლომატი და საპოლიტიკო მწერალია. გარდა იმ პოლიტიკურ ცოდნათა და ცნობათა, რომელნიც დილკს შეუძენია, ვითარცა პოლიტიკოსს და სახელმწიფო მოღვაწეს, დილკი დიდის გამჭრიახის ჭკუის კაცი არის და დიაღაც ცნობილია როგორც დიპლომატიაში, აგრეთვე საპოლიტიკო მწერლობაშიაც.

აი, ეს კაცი, მას შემდეგ, რაც სამსახურიდგან გადამდგარა, გულმოდგინედ შესდგომია მწერლობას და კიდევაც დაუმსახურნია ევროპის ყურადღება, რადგანაც დილკი აღჭურვილია როგორც პოლიტიკურის შორს-მხედველობით, ისე მრავალ გვარ და სარწმუნო ცნობებითა და ცოდნითა. დილკს გამოუცია წიგნი შემდეგის სათაურით: „ევროპა 1887-ს წელს“. ამ წიგნში ავტორი ლაპარაკობს იმაზე, თუ რომელი სახელმწიფო ვის უნდა შეეტაკოს და ეომოს, ან და რამდენად მზად არის. დილკი იმ აზრისაა, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შეტაკება, სასიკვდილოდ შებმა, აუცილებელი საქმეა, ასე რომ ევროპის აწეწილ-დაწეწილ საქმეთა მშვიდობიანად დასრულებაზე ლაპარაკი უქმია; მაშასადამე, უმჯობესი იქმნება იმის გამოკვლევას შევუდგეთ, თუ რომელი სახელმწიფო რაოდენად მზად არის საომრად და რომელს სახელმწიფოს უნდა შეებას.

უმახლობელესი ომი, დილკის აზრით, საფრანგეთის და გერმანიის ომია ერთმანერთ შორის. მას შემდეგ, რაც გერმანიამ საფრანგეთს ჩამოართვა ელზას-ლორენი, ევროპა იძულებულია მუდმივ თოფიარაღში ისხდეს და საომრად ემზადებოდეს. გამოჩენილმა მხედართ-მთავარმა გერმანიისამ, გრაფ მოლტკემ, როცა ელზას-ლორენი გერმანიას შეუერთეს, იწინასწარ-მეტყველა, რომ ორმოც-დაათის წლის განმავალობაში გერმანია იძულებული იქნება თავით ფეხამდე შეიარაღებული იყოს და ისე იცავდეს ადვილად და ჩქარად შემოერთებულს პროვინციებსაო. რამდენადაც მართალია მოლტკეს წინასწარ-მეტყველება, იმდენად უეჭველია, რომ საფრანგეთი არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებს, გერმანიას ხელი აალებინოს ელზას-ლორენზე. აი, სად არის, დილკის აზრით, იმის მიზეზი, რომ სახელმწიფოები შეუწყვეტლად აძლიერებენ თავიანთ ჯარებსა და ფლოტებს და თან და-თან უმატებენ სამხედრო ხარჯსა.

დილკი იკვლევს, რამდენად მზად არიან გერმანია და საფრანგეთი ერთმანერთის დასახვედრად ბრძოლის ველზე. გერმანიამ მეომარ სახელმწიფოს სახელი დაიმსახურა საფრანგეთთან ომის დროს; 1867-ს წელს გერმანიის ჯარში ირიცხებოდა ერთი მილლიონი და სამასი ათასი კაცი (1.300,000). 1870-ს წელს საფრანგეთთან საომრად გერმანიამ ათის დღის განმავალობაში ფეხზე დააყენა ერთი მილლიონი ჯარის-კაცი და კიდევ რამდენისამე დღის შემდეგ დანარჩენი ჯარიც წამოასხა. მას აქედ გერმანიის სამხედრო ძალ-ღონემ კიდევ უფრო იმატა.

საფრანგეთიც მას შემდეგ, რაც გერმანიამ დასცა იმისი მნიშვნელობა და ძლიერება, შეუდგა შეთოფიარაღებას და ჯარების გაძლიერებას, ასე რომ, როგორც ზოგიერთ ცნობებიდგანა სჩანს, საფრანგეთი ამ ჟამად გერმანიაზე კარგა მომზადებულია და ძლიერიც არის ჯარის რაოდენობით. ოფიციალურად საფრანგეთში ირიცხება ოთხი მილლიონი და ას ცხრა ათასი კაცი (4.109,000). ამათ შორის სამი მილლიონი ოთხას რვა ათასი კაცი (3.408,000) მზად არის ბრძოლის ველზე გამოვიდეს. აი, ამ გვარია ოფიციალური ცნობა. დილკის აზრით-კი ეს ანგარიში გაზვიადებულია და საფრანგეთს შეუძლიან წამოასხას ორი მილლიონი და ნახევარი (2.500,000) მაშინ, როდესაც გერმანიას შეუძლიან წამოასხას მხოლოდ ორი მილლიონი (2.000,000). ამ რიცხვიდამ საფრანგეთს შეუძლიან გამოიყვანოს სამის კვირის განმავალობაში პირველ რაზმად ერთი მილლიონი და ორასი ათასი კაცი. ამის შემდეგ კიდევ ოთხას ათასს კაცს მოაგროვებენ მომქმედ ჯარების შესავსებლად და გასაძლიერებლად; აგრეთვე გაძლიერებულნი იქმნებიან ყველა სიმაგრეები და არსენალები. თუ ამ რიცხვებს დაუმატეთ ალჟირში მდგომი ჯარები, შესდგება ორი მილლიონი და ნახევარი (2.500,000). დილკის აზრით, ამ ჯარებიდგან რომ გამოვაკლოთ უვარგისი და ნაკლებად მომზადებული ჯარის-კაცები, მაინც საფრანგეთს გერმანიაზე მეტი ქვეითი ჯარი შეუძლიან გამოიყვანოს ბრძოლის ველზე; ამასთანავე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ საფრანგეთს ქვეითი ჯარის შესაფერი არტილერია და ცხენოსანი ჯარიცა ჰყავს.

ჯართა აღრიცხვის შემდეგ დილკი ვრცლად მოგვითხრობს, თუ რა მდგომარეობაშია საზღვარი საფრანგეთისა და გერმანიის შუა. სხვა-და-სხვა ცნობების შესწავლის და გამოკვლევის შემდეგ დილკს აღმოუჩენია, ვითომ მთელი საზღვარი ბელგიიდგან მოყოლებული შვეიცარიამდე ისეა გამაგრებული, რომ თითქმის მიუკარებელია ორივე მეომართათვის; ისეთი ციხე-სიმაგრეები აუგიათ ორივე მხრივ, რომ არც ერთს მეომართაგანს არ შეეძლება შეარღვიოს საზღვარი და მტერს სახლში მიუხდეს. ნამეტნავად გამაგრებული ყოფილა საზღვარი საფრანგეთის მხრივ, ისე რომ საზღვარზედაც საფრანგეთი, დილკის აზრით, უფრო ძლიერია.

თუ საქმე ისე დგას, რომ მეომართათვის თითქმის შეუძლებელია ერთმანერთს საზღვარი შეურღვიონ და შიგ სახლში მიუხდნენ, თუ მოპირდაპირენი ძალითა და მოხერხებით ერთმანერთს ბევრით არაფრით ჩამოუვარდებიან, მაშინ საზღვარზე ბრძოლა ხომ შეუძლებელი იქმნება, მოპირდაპირენი ხომ უნდა შეადნენ ერთმანერთს ცქერითა და ან ბრძოლითა.

დილკი ამაზედაც პასუხს იძლევა. იმის აზრით, გერმანია და საფრანგეთი იძულებულნი იქმნებიან ერთმანერთს შეებნენ არა საკუთარს საზღვარზე, არამედ ბრძოლის ველად უნდა აირჩიონ ერთი რომელიმე მახლობელი, პატარა და სუსტი სახელმწიფო. ამ გვარნი სახელმწიფონი გერმანიისა და საფრანგეთისათვის არიან შვეიცარია და ბელგია; ან ერთში და ან მეორეში უნდა მისცვივდნენ ერთმანერთს და ამ ორ სახელმწიფოთა შორის ის უნდა ამოირჩიონ, რომელიც უფრო სუსტი და უძლურია. შვეიცარიაში ვერც გერმანია და ვერც საფრანგეთი ვერ შესტოპავს, რადგანაც შვეიცარიას შეუძლიან ერთს წამზე წამოასხას ასი ათასი კაცი, კარგად შეიარაღებული და საომრად გაწრთვნილი; შვეიცარიელნი იმდენად მხნე და მამაცნი არიან, იმდენად აფასებენ საკუთარს მშვიდობიანობასა და დამოუკიდებლობას, რომ არც ერთს მტერს, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი, უძლურად ქედს არ მოუხრიან და ძვირად დაუსმენ თავიანთ შეურაცხყოფას და გაუპატიურებას. გარდა ამისა შვეიცარია მთიანი და ბუნებით ძალიან გამაგრებული ადგილია, ასე რომ გერმანიას და საფრანგეთს შვეიცარიის გადათელვა სრულიადაც ხელს არ მისცემს.

მაშასადამე, დარჩენილა საბრალო ბელგია, რომელსაც თითქმის არავითარი სამხედრო ძალ-ღონე არა აქვს, არც ხელოვნებით გამაგრებულია და არც ბუნებით,— შვეიცარიასავით. ბელგია ვაკე ადგილია და ვერც კაცი და ვერც ბუნება წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ძლიერ მოპირდაპირეთა აუარებელ ჯარებს. გერმანიისათვის საუკეთესო და მომარჯვებული გზა პარიჟისაკენ ისევ ბელგიით მიდის და ბელგიაში უნდა გადაწყდეს გერმანიისა და საფრანგეთის ანგარიში ერთმანერთ შორის. იგივ საბრალო ბელგია წილად უნდა ხვდეს გამარჯვებულს მხარეს, ასე რომ ეკონომიურად მდიდარის, მაგრამ მხედრობით უძლურის ბელგიის დამოუკიდებელი, თავისუფალი არსებობა სრულიადაც ხანგრძლივი არ არის; ასე თუ ისე, ბელგია უნდა იმსხვერპლოს ან გერმანიამ და ან საფრანგეთმა.

ბელგია დღემდის თითქმის არავითარს ყურადღებას არ ათხოვებდა თავის მხედრობას, რადგანაც იმედი ჰქონდა იმ ხელ-შეკრულობისა, რომლის ძალითაც ნეიტრალურ, ხელ-შეუხებელ სახელმწიფოდ აღიარებულია. დილკის აზრით, დღეს იგი ხელ-შეკრულობა სრულიად უქმია და არც ერთი სახელმწიფო არ მოინდომებს მფარველობა და დახმარება აღმოუჩინოს ბელგიას.

ბელგია კიდევაც ჩაუკვირდა თავის საშიშს მდგომარეობას, კიდევაც ამაგრებს საზღვრებს და აძლიერებს ჯარებს, მოწადინებულია მომხრეები იშოვოს, მაგრამ საქმეც ის არის,—მოასწრებს თუ არა ყოველსავე ამას, იშოვის თუ არა მოკავშირეთა. ბელგიას უკვე განუზრახავს გოლანდია მიიმხროს, მაგრამ, დილკის აზრით, იმ დრომდე არავინ არ შეუკავშირდება ბელგიას, სანამ ეს უკანასკნელი თვითონ არ გაძლიერდება.

ა. ნა—ლი

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 24-ს ნოემბერს, საქართველოს ახალმა ექზარხოსმა პალლადიმ ინება დათვალიერება წმინდის გიორგის ეკლესიისა, ანჩისხატისა და ქაშუეთისა.

წირვა და გალობა ქაშუეთში ქართულად იყო. წირვის გამოსვლის შემდეგ გადასახა ჯვარი ოთხ-კუთხივ და ხალხი მიიღა სამთხვეველად. ამ დროს წინ წადგა ქაშუეთის ეკლესიის მნათე, მოხუცებული ქართველი პავლე ივანიშვილი, ჯვარზე სამთხვეველად და მოახსენა დაახლოვებით შემდეგი მოკლე და გრძნობით სავსე სიტყვა: „თქვენო უსამღვდელოესობავ! ბედნიერი იყოს საქართველოსათვის თქვენი მობძანება; თქვენ მიემგზავსებით სახით მარად დაუვიწყარს წინანდელ ჩვენს ექზარხოსს, ისიდორეს, რომელსაც უყვარდა საქართველო. იმედია, თქვენც შეიყვარებთ საქართველოს და ჩვენი ერიც შეგიყვარებთ და თქვენთვის ილოცავს“. ექზარხოსს სასიამოვნოდ დარჩა ეს სიტყვა, გადასახა ჯვარი ივანიშვილს და ბრძანა პასუხად: „ისიდორე კარგად ბრძანდება; იმას ისევე ღრმად უყვარს საქართველო, როგორც წინად უყვარდა; მოგიკითხავთ ყველანი და მოგიძღვნათ სახსოვრად ეს ჯვრებიო“...

მოიღო ლანგარზე დებული ყუთი და ყველა იქ მყოფთ დაურიგა ჯვრები.

შემდეგ დადგა შუა ადგილზე, დაათვალიერა ეკლესიის კედლები და იმისი მხატვრობა და ისურვა, რომ უფრო წმინდად და ფაქიზად იქმნენ განახლებულიო.

აგრეთვე იკითხა, რა დღეობა იცის ქაშუეთმა და იყრიან მლოცავნი თავს თუ არა.

⁂ წუხელის ვერაზე, ი. გაბაშვილის ბაღში, ცხენი ება ერთს ძეგველ გლეხსა. ღამე მივიდა, აუშვა ცხენი და წყალის დასალევად უნდოდა ცხენი წაეყვანა. სანთელი გაუქრა; არ იცის, ქარმა გაუქრო, თუ ქურდმა. შებრუნდა სახლში სანთლის ასანთებად. მანამ სანთელს გამოიტანდა, ცხენი წაეყვანათ ქურდებსა.

⁂ ბ ნი როინაშვილი თავის გამოჩენილ მუზეუმით ეხლა იმყოფება მოსკოვში. უნდოდა თურმე მისვლისთანავე გაეხსნა თავის მუზეუმი ხალხის საჩვენებლად, მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ საჭიროდ დაინახა გაესინჯვინებინა კერძო კომისიისათვის, ღირს თუ არა ნება-რთვის მიცემა მუზეუმის გახსნაზეო. იმედი აქვთ, რომ კომისია დამაბრკოლებელს არასა ჰნახავს და მალე გაიხსნება მუზეუმი. ბ-ნს როინაშვილს სწადიან სამიოდე თთვე დაჰყოს მოსკოვში თავის მუზეუმით-ურთ.

⁂ ტფილისის ქუჩებში აკრძალულია ქვის მტვრევა ქუჩების მოსაკირწყლავად შიშისა გამო, რომ სახლების ფანჯრები არ დაიმტვრას ქვის ნატეხებითაო. მიუხედავად ამისა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე მაინც ამტვრევენ ქვასა და ხშირად მოხდება ხოლმე ფანჯრების მტვრევა. ამას შემოგვჩივიან იქაური მცხოვრებნი და გვთხოვენ მივაქციოთ ამ გარემოებას ქალაქის ყურადღება.

⁂ ტფილისში ქუჩებზე შეშის ურმებს არ აყენებენ და არც გაატარებინებენ, თუ მყიდველი არ მისდევს ურემსა. უკეთუ გლეხი უმყიდველოდ გაატარებს ურემს ქუჩაში, პოლიციელი მაშინვე უკან დააბრუნებს და მოქმედებითაც დიდ უსიამოვნებას მიაყენებს. ეს გარემოება თავისებურად გამოუყენებიათ ტფილელთ. იყიდიან შეშასა, გაუძლვებიან გლეხსა და მიაქეთ სახლში ურმები. გზაზე მყიდველი განძრახ შეეშლება გლეხს ფასში, დაუკლებს და, თუ გლეხი არ დათანხმდა, მიანებებს თავს და ვითომ მიდის სახლში. თავ-დანებებულს მეურმეს დაადგება თავს პოლიციელი, რომელსაც ბრძანება აქვს არ გაატაროს ურემი ქუჩაში შეშით. უსიამოვნების ასაცდენად გლეხი რჩეობს დასთანხმდეს ნაკლებ ფასზედ.

⁂ ასეთი ამბავი მოხდა გუშინ საქალაქო თვით-მმართველობის სახლის წინ. ვილაც არუთინოვი გაჭრიგებოდა შვიდ მანეთ ნახევრად სამს ურემ შეშაშია. გზაზე უთხრა—თუ გინდა ხუთს მანათს ჩოგცემ, არა და—უკან წაიღეო. დაანება თავი გლეხსა, მისცვივდნენ პოლიციელნი—ქუჩაში რად დადიხარ ურმითაო. ჩაეშველა ერთი უცხო კაცი და, როგორც იყო, დაიხსნა გლეხი, მაგრამ არუთინოვმა მაინც გარიგებულ ფასზე მანათით ნაკლებ წაიღო სამი ურემი შეშა.

⁂ მნაცაკანის ხიდს საკმაო შემოსავალი მოაქვს, მაგრამ თვითონ-კი ვერ არის კარგს მდგომარეობაში. მაგალითად, მოაჯირის სამაგიერო კედლებზე თლილი ქვები ერთი-მეორეს დაშორებიან, ზოგი ქვა სრულებითაც შემძრულა ადგილიდამ. თითონ კედლებში ამის გამო შორამდის ჩადის წვიმის წყალი. თუ მალე არ ეშველა ამ კედლებს, ეხლანდელი წვიმები ერთიან გააფუჭებენ და მაშინ უფრო დიდი ხარჯი მოუნდება ქალაქსა.

⁂ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: რიყის ქუჩაზე სახლი № 55 ისეთს ყოფაშია, რომ დღე-დღეზე უნდა დაინგრეს. და მდგმურები მაინც ცხოვრობენ შიგაო. ეზოში ფაიტონი აქვთ და ძროხებიცა ჰყავთ. დიდი უბედურება დატრიალდება, თუ ეხლავე არ გავიდნენ ამ სახლიდამაო.

⁂ ერთს სოფლის მასწავლებელს დაუწერია ლექსი „სოფლის მასწავლებელი და გლეხი“, რომელიც უკვე იბეჭდება ცალკე წიგნად.

⁂ 30 ნოემბერს წირვის შემდეგ დანიშნულია მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიაში საზოგადო კრება წევრთა წმ. ანდრიას ძმობისა.

⁂ 11 ოქტომბრის სახალხო სეირნობიდამ ალექსანდრეს ბაღში შემოსულა 1219 მანეთი, რომელიც ბ-ნ პოლიცმეისტერს გარდაუცია დანიშნულებისამებრ. ეს ფული შეიტანეს თანხაში, რომლითაც უნდა წმ. ნინოს დედათა სასწავლებლისათვის საագარაკო სახლი უნდა ააშენონ კოჯორში.

⁂ საინგილოდამა გვწერენ: წელს საინგილოში ღვინოების მოსავალი კვლავინდელზედ კარგია; თუმცა ბევრი მოვიდა, მაინც ღვინოების ფასმა ძლიერ აიწია. თალარი ღვინო (40 თუნგი), რომელიც წინად 4—5 მ. იყიდებოდა, ეხლა 12—14 მანეთადა ფასობს. შარშან ღვინო წლევანდელზე ბევრით ნაკლები მოვიდა და ძნელად იშოვებოდა. მთელი აქაური ღვინო უბაზრობის გამო ადგილობრივე იხმარეს. ამის მიზეზით ბევრს დარჩა ძველი ღვინო მეორე მოსავლამდ რაიცის, ჩვენში იშვიათი მოვლენაა.

* * *

ტფილისის საქალაქო საბჭო

(23 ნოემბრის კრება)

ამ კრებაზედ დაათავეს ჯერ კიდევ წინა კრებაზედ დაწყებული განხილვა ცეცხლისაგან შეკვრის საურთიერთო საზოგადოების წესდებულებისა. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ წესდებულების განსახილველად ამორჩეული იყო კომისია. საბჭომაც გუშინ სრულებით მიიღო წესდებულება, იმ ცვლილებით, რომელიც საჭიროდ დაინახა საბჭოს მიერ ამორჩეულმა კომისიამ. ამას გარდა მიენდო გამგეობას, რათა მან იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ამ წესდებულების დამტკიცება.

მეორედ საბჭომ მოისმინა **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** შუამავლობა, რათა ქალაქმა იეფ ფასად მისცეს წყალი ქალაქის მილებიდამ საბაღოსნო სკოლას ქალაქში. როგორც სჩანს სამეურნეო საზოგადოების მოხსენებიდამ, საბაღოსნო სკოლა დღემდის იხდიდა 1,200 მანეთსა და წყალი გამოჰქონდა ერთად ტრამვაის საზოგადოებასთან მტკვრიდამ. დღეს ტრამვაი წყალს იღებს ქალაქის მილებიდამ და ამიტომაც მარტო ეს სკოლა ვერ გაუძლებს მტკვრიდამ წყლის გამოყვანის ხარჯსაო.

საბჭომ ერთ-ხმივ მიიღო მოხსენება გამგეობისა, რომელიც თანახმა იყო სამეურნეო საზოგადოების თხოვნაზედ.

ამის შემდეგ ბ-მა **ქალაქის თავმა** მოახსენა საბჭოს, რომ დღეს ბევრნი დაწესებულებანი თხოულობენ ქალაქის მილის წყალსა, მაგრამ უფრო იეფადა, ვიდრე საზოგადო ფასია დანიშნული წყალზედა, რადგან ამ დაწესებულებათ ბევრი წყალი უნდათ წლის განმავალობაშიო. შესახებ ქარხნებისა საბჭომ გადასწყვიტა, რომ გამგეობას მიენდოს ქარხნების პატრონებთან წყლის ფასში მორიგებაო, სთქვა ქალაქის თავმა, და მე კიდევაც ვაძლევ დღეს რამდენსამე მექარხნეს ექვს ვედრას კაპეიკად. დღეს წყალს თხოულობენ ისეთი დაწესებულებანი, როგორც მაგალითად ქალაქის საავადმყოფო, სამხედრო დაწესებულება სხვა-და-სხვა სამხედრო სადგომებისათვის, მეტეხის ციხე და სხვანი ისეთები, რომელნიც დღეში რამდენსამე ათასს და ათი ათასს ვედრა წყალს ჰხარჯავენ ხოლმე და ეძვირებათ წყლის ფასი მე-კი არ შემიძლიან მათთან ფასში მორიგება, რადგან საბჭომ მხოლოდ მექარხნეთა შესახებ მიანდო გამგეობას დაწეულ ფასად მორიგება. რადგან ესეთი შემთხვევა არის ეხლა, სთქვა ბატონმა ქალაქის თავმა, გამგეობა სთხოვს საბჭოს იგივე უფლება მიანიჭოს მას, როგორც მექარხნეთა შესახებაო.

საბჭომ დაადგინა: ა) თუ წყალი ათი ათას ვედრამდე ეხარჯება სამის თვეის განმავალობაში, მიეცეთ ამათ **რვა „ვედრა“ ერთ კაპეიკად**; ბ) თუ ამაზედ მეტი მოითხოვეს, ამ შემთხვევაში მიენდოს გამგეობას თავად მოურიგდეს მსურველთ წყლის ფასშიო.

ა. ლ—ძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ქიულ ლემეტრს საკმაოდ ვრცელი წერილი დაუბეჭდია ფრანგულს გაზეთებში ერნესტ რენანზე. ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ გაიარა თავისი გზა ცხოვრებისა ამ სახელოვანმა ფილოსოფოსმა, რა იღვაწა, რას უტოვებს შთამომავლობას, რა სახისა და შეხედულობისაა და სხვანი.

ქიულ ლემეტრი ამტკიცებს, მაგალითად, რომ რენანი მეტად მხიარული კაცია და ეტყობა, ბედნიერ გაცადაცა სთვლის თავსაო.

ან კი რატომ არ უნდა იყოს ბედნიერიო? კითხულობს ავტორი. რენანი წევრია მეცნიერებათა აკადემიისა, დირექტორია „Collège de France“-ში, ცოლს, დას და ქალიშვილს გაგიჟებით უყვარდათ, შეძლება საკმაო აქვს.

ყველა ამას თავი დაანებეთ და ბიღეთ მისი მეტად წარმატებული ჭკუა და დიდად განათლებული გონება.

ასეთი ჭკუა-გონებაც ხშირად ბედნიერების წყაროდ უნდა ჩაითვალოსო, ამბობს ლემეტრი. ასეთის ჭკუის პატრონი დიდად ლამაზს ქალს უნდა შევადაროთ. განსაცვიფრებელის სილამაზის პატრონი ქალი ყოველ წუთს სტკბება თავის სილამაზით, ყოველ წუთს ახსოვს, რომ ლამაზი ვარო, და ვისაც-კი შეჰხედავს, თვალებშივე ატყობს, რომ ყოველი იმისი მაცქერალი გიჟდება მისის სილამაზითა.

ამ გვარის ქალის ცხოვრება დიდის სიამოვნებით მიმდინარეობს, მეტადრე მაშინ, თუ ასეთის სილამაზის პატრონი გიჟი და სულელი არ არის.

სწორედ ესევე უნდა ვთქვათ რენანზედაც. რენანი ძალიან კარგადა ჰგრძნობს, რა ჭკუის კაციც არის. ისევე სამართლიანადა ჰფიქრობს გულში, რომ დიდად ჭკვიანი ვარო, როგორც ოდესმე კლეოპატრა ჰგრძნობდა, რომ გასაოცრად ლამაზი იყო. ვისაც-კი შეხვდება, სადაც-კი გაივლის, ყველგან, ყოველისფერი აგრძნებს, რა დიდებული კაციც არის. ის აუარებელი ცოდნა, ის მოხერხება, რა მო-

---

ფელეტონი

ვალანოსის ხე

(ინგლისურით)

ახალ ორლეანში, ლიის ახლოს, კათოლიკეთა ძველ სობოროდგან ცოტა მოშორებით იდგა ოც-და-ათის ფეხის სიმაღლე ვალანოსის ხე. ისე ძლიერად გაეშალა მშვენიერი, დიდრონი ფოთლები, თითქო თავის სამშობლოს მიწა-წყალზე დგასო.

ჩარლ ლაიელი თავის თხზულებაში სწერს შემდეგს ამ გასაოცარს ხეზედ: ეს ვალანოსის ხე არის სამოც-და-ათის, ანუ ოთხმოცის წლისა; კათოლიკეთა პატრმა ანტონიომ, რომელიც გადაიცვალა ოცის წლის წინად, დარგა ეს ვალანოსი ყმაწვილობის დროს. აღსასრულის დღეს უანდერძა თავის სახლ-კარი და ქონება თავის მოადგილეებს იმ პირობით, რომ თვითოეულს მათგანს ეპატრონათ ამ ხისათვის, ისე, როგორც თითონ ჰპატრონობდა და უვლიდა. ჩარლ ლაიელს ძალიან სურდა გაეგო რამ ამბავი ანტონიოსი და მის მიერ დარგულ ვალანოსის ხისა. რაც-კი უკეთესი ალაგები ყოფილა ამ ქალაქში, არ გადარჩა, რომ არ მისულიყოს იმ განზრახვით, ეგებ შევხვდე ვისმე მოხუცებულს ანტონიოს ამბის მცოდნესაო; ბევრი გამოკითხვის შემდეგ გაიგო მხოლოდ ის, რომ პატრი ანტონიო უკანასკნელს დროს ჩამომდნარი დაბორგავდა მოჩვენებასავით თავის ბაღში; დღითი-დღე ლონე ელეოდა და ამ გვარად ერთს დღეს გამოეთხოვა წუთი-სოფელს.

1801 წ., როდესაც ორლეანი იყო მტრის ხელში, ლაიელი დადიოდა ხოლმე სხვა-და-სხვა ქალაქებში; ამ სიარულში ხშირად შეჰხვედრია ერთი ლედი*), სახელად ბლონდი, და ამან აუწყა თურმე მეტად საგრძნობელი ლეგენდა ანტონიოსა და მისს მშვენიერს ალვის ხეზე.

ყმაწვილობის დროს პატრ ანტონიოს ჰყავნდა ერთად-ერთი მეგობარი, რომელიც თავის თავს და სიცოცხლეს ერჩივნა; ემილ ქარდენი—ასე ერქვა ანტონიოს მეგობარს თანაზიარი იყო მისი და ამ სახით ეს ორი ყმაწვილი კაცი სამაგალითო მეგობრობას წარმოადგენდნენ. არასოდეს არც ერთი მათგანი ჯერ არავის არ ენახა უერთმანეთოდ: ერთად მუშაობდნენ, ერთად სეირნობდნენ, ერთად ელვიძათ და ერთად ეძინათ. ანტონიო და ემილი მომზადებულიყვნენ მღვდელ-მსახურობისათვის, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად შესცვალა მათი სურვილი. მათ მეზობლად იდგა ერთი რომელიღაც პატარა კუნძულიდგან მოსული დედაკაცი; ეს დედაკაცი უეცრად გარდაცვლილიყო და დარჩენოდა ერთი თექვსმეტის წლის ქალი—ანჟელიკა სრულიად უპატრონოდ და უნუგეშოდ. მხოლოდ ეს ორნი იყვნენ ამ ქალისდედის ყურადმღებელნი სნეულების დროსა და ისევ ამათ შეჰფიცეს ერთმანერთს, ანჟელიკა დასავით შეეტკბოთ, დასავით შევითვისოთ და ჭირის-უფლობა გაეუწიოთო. რამდენიმე სამე ხნის შემდეგ ორივემ იგრძნო, რომ ანჟელიკა დაზე უფრო მეტად შეუტკბიათ, დაზე უფრო მეტად შეუთვისებიათ. ეს გრძნობა თან-და-თან გაუძლიერდათ და ბოლოს მიხვდნენ, რომ ანჟელიკა უყვართ მეტის-მეტად და უსაზღვროდ. თავიანთ აღგზნებულ გრძნობას ესენი არ ამჟღავნებდნენ ერთმანერთთან. დღემდის უარს ამბობდნენ ამ გვარ სიყვარულზედ და ჯავრობდნენ, თუ ვინმე ამის შესახებ სიტყვას შეუბრუნებდა.

ეხლა-კი ყმაწვილმა ქალმა თავის დიდრონის თვალებით და გულში ჩამწვდენის ტკბილის ხმით სრულიად სხვა გრძნობა გაუღვიძა ახალგაზდებს, და თავის უნებურად მიზეზი შეიქნა მათის მეგობრობის დარღვევისა.

მეგობრებმა დაჰკარგეს ფერი და გამხდარ სახეზედ თუ, თორემ სხვაფრივ ვერ შეატყობდით, რა გრძნობით იყვნენ ორივენი გატაცებულნი. ანჟელიკას მშვიდს და წყნარ სახეს-კი არა ეტყობოდა-რა და ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მეგობრები ასეთს გრძნობას შეეპყრო; მხოლოდ ერთხელ მოჰკრა ყური იმათს საუბარს მათ შორის, რომელმაც მცირეს ხნით ცეცხლებრ აუნთო პირი-სახე და გააელვა მისი დიდრონი თვალები. შემდეგ-კი მისმა სახემ კვლავ ნაზი და მშვიდობიანი მეტყველება მიიღო.

ისე სიწყნარით და სიდინჯით გაუვლიდა ხოლმე წინ მეგობრებს, თითქო არც-კი გაუგონია იმათი საუბარიო.

ერთს მშვენიერს ღამეს ემილი და ანჟელიკა გაიპარნენ, მაგრამ სად, არავინ იცოდა, არც თვით ანტონიომ; ეს ამბავი მით უმეტესს სამწუხარო და ძნელად ასატანი იყო ანტონიოსათვის, რომ ამასაც გადაეწყვიტა გულში, გაუმჟღავნებ ანჟელიკას ჩემს სიყვარულს და იმედი მაქვს ისიც თანამიგრძნობსო.

ერთხელ ლოცვანიდგან ამოგლეჯილს ქაღალდზე ანტონიომ ნახა წარწერილი შემდეგი სიტყვები: „ნუ გავგირისხდები, შეუნდე ჩვენს სიყვარულს“.

სამი წელიწადი გაატარა ანტონიომ ერთობ სევდიანად; გაშეშებული დაიარებოდა ეკკლესიაში და აღარა ახარებდა-რა ამ ქვეყნად. თითქმის მეოთხე წელიწადმა გაიარა მას შემდეგ და უცებ წერილი მოუვიდა ანტონიოს უცხო ქვეყნის ბეჭედ დასმული. ეს წერილი ანჟელიკას მოწერილი იყო.

ანჟელიკა ეკითხებოდა ანტონიოს: შეგვინდე თუ არა ჩვენი შეცოდებაო? და შემდეგ აუწყებდა, რომ ემილი ამ ქვეყანაში მოსვლისათანავე შეიპყრა კუნძულის საოცარმა ციებ-ცხელებამაო. არ გასულა დიდი ხანი და შეუბრალებელმა სიკვდილმა მომტაცა ემილი და ნუგეშად დამრჩა მხოლოდ პაწია ქალი, სახელად ანჟელიკა, რომელიც პირ-წავარდნილი ემილიაო. შემდეგ ანჟელიკა ეხვეწებოდა ანტონიოს შესაბრალისის სიტყვებით, რომ პატარა ანჟელიკა შენ წაიყვანე გასაზრდელად, რადგან მე მონასტერში ვაპირებ შესვლასაო.

ეს ბარათი დაესრულებინა ვილაც სხვას, რომელიც აცნობებდა ანტონიოს, რომ ქარდენის ქვრივი ანჟელიკა უკვე გარდაიცვალა და პატარა ანჟელიკას ისტუმრებენ იმ გემით, რომელიც ამ მოკლე ხანში წამოვა აქედამაო.

წიგნს დაჰგვიანებოდა გზაში ავდრებისა გამო და გემსაც ათასი განსაცდელი გამოევლო; წერილმა ძლივს მოაღწია ანტონიომდე მაშინ, როდესაც მოვიდა თვით პატარა ანჟელიკაცა.

დაინახა თუ არა ბავშვი, სიხარულით შეჰკივლა, ისე ჰგვანდა იმ ქალს, რომელსაც თაყვანსა სცემდა საბრალო ანტონიო.

ემილ ქარდენის და იმის ცოლის სიყვარული ერთად შეერთდა ანტონიოს გულში და შემოეხვია გარს პატარა ანჟელიკას, რომელიც გასაოცრად ჰგვანდა თავის უბედურს დედას. ლერწამივით წვრილი ტანი ჰქონდა, მშვენიერი ფერ-ხორცი და დიდრონი შავ-შავი თვალები. ერთის სიტყვით, ბუნებას უხვად მიენიჭებინა მისთვის ყოველი სიკეთე და თავისი ხელოვნება ზედ დაესრულებინა იმის სიტურფის გამოსახატავად. ამ უცხო შვენებასთან ერთად ანტონიოს შავი ანაფორის დანახვა თვალს ეხამუშებოდა და ეუცხოვებოდა.

თავის ახალ ბინაზე ანჟელიკა მეტად დაღონებული და დაფიქრებული იყო, მუდამ იმ ტურფა ქვეყანას ახსენებდა, სადაც დაბადებულიყო. იგონებდა იქაურ საუცხოვო ყვავილებს, ხეხილს, მოწმენდილს და ლურჯად გადაკრიალებულს ცას, მაღალის, მა-

---

*) ინგლისები გათხოვილს ქალს ლედის ეძახიან. ლედი პატივ-საცემი წოდებაა, როგორც ჩვენში ქალბატონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხებითაც ახსნის და განმარტავს ხოლმე თავისებურად ამ ცოდნას, ნებას აძლევს რენანს იფიქროს, რომ იგი ბევრად მაღლა სდგას თავის თანამედროვე კაცებზედ. რენანი, ცოტა არ იყოს, ჰგრძნობს იმასაც, რომ მე ვარ შემოქმედი, მომგონი სხვა ნაირის, მეტად წმინდასი და ნაზის ფილოსოფიისა, თავისებურის შეხედულობისა ღვთის მიერ გაჩენილს ქვეყანაზე და კაცთა ცხოვრებაზეო და ჰხედავს კიდეც, რომ იმისი აზრები ვრცელდება. ერთის სიტყვით, ბ-ნს რენანს ატკბობს და ასიამოვნებს მისი ჭკუა, მისივე ტალანტი. ბ-ნი რენანი პირველი თავადა სტკბება თავის „რენანობითაო“.

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ რენანი თავად უფრო კარგად ასურათებს თავის ხასიათებსა და ზნე-ჩვეულებას იმ სიტყვებითა, რომელიც სხვა-და-სხვა დროს წარმოუთქვამს სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო.

აი რა უთქვამს ერთხელ რენანს კაცთა ცხოვრებაზე:

> ეს ქვეყანა სათეატრო წარმოდგენაა, რომელიც უხილავის ძალით არის გამართული უზენაესისათვის; ვეცადოთ ჩვენცა, ჩვენის მხრით, რომ ეს წარმოდგენა რაც შეიძლება სასიამოვნო და ხალისიანი იყოსო.

ამაზე ვერ დავემდურებით რენანსაო, ამბობს ლემეტრი. მართალია, რენანი ნამდვილი მონაწილეა განუწყვეტელის კომედიისა, რომელსაც წუთი-სოფელს ეძახიან, და როგორც ჭეშმარიტი და კარგად აღზრდილი სტუმარი, ისე მხიარულობს ამ წუთი-სოფელშიო.

> ამისათვის რაღ უნდა ვუსაყვედუროთ. ჩვენ თვითონაც სტუმარნი ვართ ამ წუთი-სოფლისა და, რამდენადაც-კი შეგვიძლიან, ვსტკბებით და ვსიამოვნებთ ცხოვრებითა. ჭეშმარიტად, რომ წუთი-სოფელი ბევრად მოსაწყენი და ადვილად მოსახალისებელი იქმნებოდა, რომ მის სტუმართა შორის ბ-ნი რენანიც არ იყოს.

რენანს შეუმჩნევია, ვითომ ზოგიერთნი ემდურებიან და ესაყვედურებიან, რომ ისეთი ფილოსოფოსი კაცი, როგორიც არის ერნესტ რენანი, მუდამ წარბ-შეკრული, პირკუშტი და მწყრალი სახისა არ არის, არამედ ფრიად მხიარულია, მოღიმარე და გმაყოფილებით აღსავსე. ამაზე ერთს თავის სიტყვაში თვით რენანი ასე ლაპარაკობს:

> მე ბევრს გაუფრთხე ძილი ჩემს სიცოცხლეში. ბევრის იმისთანას წავკარი მუჯლუგუნი, რომელიც ან სთვლემავდა და ან სამუდამოდ თვლემას აპირობდა. მართალია, ხორცით დავილალე ამის გამო, მაგრამ სიბერემდის-კი სიმხიარულე არ დავკარგე და ის ცოდნაც ხელიდამ არ გავუშვი, რომელიც გვეუბნება: კმაყოფილ იყავ მცირესა ზედაო.

იმათ, ვინც ამბობს, რომ ჩემის ფილოსოფიის გამო ვალდებული ვარ მოწყენილი ვიყო და ჩემს მხიარულებასა ფარისევლობას ეძახიან, მე ავუხსნი ამ მხიარულების მიზეზებს:

> მე მხიარული ვარ იმიტომ, რომ ყმაწვილობაში გართობას არ გავყოლივარ და ამიტომ სიბერეშიაც ყმაწვილი გული შემრჩა...

რენანს ასე მოსწონს თავი თავის ერის კაცობით:

> მე ლიტერატორი არა ვარ, მე ხალხს ვეკუთვნი და შთამომავალი ვარ ერის-კაცისა. მამაც, პაპაც და პაპის-პაპაც, რომელნიც უჩინრად და კვალ-დაუტოვებლად გამქრალან დედა-მიწის ზურგზე, გლეხკაცნი ყოფილან. ჩემს წინაპართ გონებით არ უმუშავნიათ და, რაც იმათ მომჭირნეობა გამოუჩენიათ ამ მხრივ, ის მე გამოვიყენე. დიდად მადლობელი ვარ იმ საწყლებისა, რომ თავიანთის გონებრივის წუწურაქობით მე ასეთი ძლიერი სიტკბოება მომანიჭეს.
>
> აი აქ იფარება იდუმალი მიზეზი იმისი, რომ მე ასე მხიარული ვარ და მინდა ვიცოცხლო მაშინ, როცა ქვეყანა მხოლოდ სიკვდილზე ლაპარაკობს.

**

ვინც ამტკიცებს, რომ ჩეხელები ავსტრიაში შევიწროებულნი არიანო, იმათ წაიკითხონ გაზ. „Рус. Кур.“-ის კორრესპონდენცია და დარწმუნდებიან, რა აჩქარებულის ნაბიჯით წასულა წინ ეს ერი სლავიანთა წარმატებისა და აღორძინების გზაზედ.

> მაშინ, როცა ჩეხელებს პრაგაში ხუთი ყოველ-დღიური გაზეთი აქვთ და ამ გაზეთებს ჰბეჭდავენ ისე, როგორც იბეჭდებიან უდიდესი გაზეთები ბერლინისა და პარიჟისაო, ვენაში ძლივ-ძლივობით სცოცხლობს ამდენივე გაზეთი გერმანულ ენაზედაო, თუ, რასაკვირველია, არ მივიღებთ მხედველობაში იმ გაზეთებს, რომელნიც მთავრობისანი არიანო.

წარმოიდგინეთ-კი, რომ ვენის გაზეთები ამ 30 წლის წინად, როცა საპოლიტიკო გაზეთების ხსენებაც არ იყო ჩეხიაში, ბევრად მაღლა იდგნენ, ვიდრე ამ ჟამადაო.

30 წლის განმავლობაში და ასეთი წარმატება მწერლობისა და განათლებისა! მოდით და ნუ გაჰკვირდებით.

წვრილი ამბები

— რუსეთის ქვეშევრდომს, „ბარონს“ კელნის, რომელსაც ამას წინად პარიჟის სასამართლომ 3 წლით ციხე გადაუწყვიტა ორდენებით ვაჭრობისათვის, გამოუაშკარავებია წერილი ვილსონისა, რომლიდგანაცა სჩანს, რომ ვილსონი და ბარონი კელნი ერთმანერთში დაახლოვებულნი ყოფილან.

— საფრანგეთის აკადემიაში სამი საკრძელია ეხლა ცარიელი, რომელიც დაიცალა ერთი ისტორიკოსის ვიელ-კასტელიის გარდაცვალების გამო, მეორე — ფილოსოფოს კაროსი და მესამე — კრიტიკოსის კიუვილიე-ფლერისა. კანდიდატთ შორის ასახელებენ მელხიორს დე-ვოგიუეს.

— „Daily Ghronicle“-ს ქაიროდგან მიუღია ამბავი, რომ ნეგუსმა აბისინიიდგან იტალიაში გაგზავნა თავისნი წარმომადგენელნი, რათა მოელაპარაკონ იტალიის მთავრობას და დაითანხმონ, რომ ნეგუსი იყოს მაინც-და-მაინც უმაღლესი მბრძანებელი მასსოვადგან კასსალამდინაო.

— ერთი პარიჟის სცენის-მოყვარე საზოგადოების ყურადღებას იმას მაქცევს, რომ საფრანგეთის ახალს პიესებში გმირი ქალები ყოველთვის თმას იშლიან სცენაზედ, რომ უფრო მშვენიერები იყვნენ და მაყურებლებზე დიდი ზედ-მოქმედება იქონიონო. პირველად თმების ჩამოშლა სცენაზედ შემოიღო თურმე დიუმამ თავის „Francillon“-ში. დიუმას მაგალითს მიჰყვა გალევი თავის „Abbé Constantin“-ში და გალევის გარდა აგრეთვე პალიერონმა „La Souris“-ში.

— სპაში საერთა-შორისო გაჯიბრება იქმნება თურმე ქალის სილამაზისა. პირველი საჩუქარი 5,000 მან. დანიშნული, მეორე—2,500 მან.

— ბერლინში საზოგადოებას აჩვენებენ თურმე ერთს ყმაწვილ ქალს, რომელსაც კუდი აქვს. სახელად ამ ქალს კრაოჰქვიან. პროფესორს ვირხოვს ანტროპოლოგიურს საზოგადოებაში გამოუცხადებია, რომ მაგ ქალის მშობლებს რიგიანი აგებულება აქვთ, განათლებულნი არიან და ბანკოკში ცხოვრობენო.

— ინგლისის მთავრობა მეტად შეწუხებულია თურმე იმის გამო, რომ ამ ბოლოს დროს ირლანდიის ჯვარის-კაცნიც-კი მონაწილეობას იღებენ შფოთისა და ამბოხებაშიო. მაგალითებრ, ამ დღეებში ერთი ამისთანა ამბავი სასამართლოში მომხდარა. მოსამართლეს ერთის თვით დაპატიმრება გადაუწყვეტია ერთის მომუშავესათვის ირლანდიელთა ქომაგისა და წასარჩლებისათვის. როცა სასამართლოს განაჩენი წაუკითხავთ, ბრალდებულს ხმა-მაღლად წამოუძახნია: „განათავისუფლე, უფალო, ირლანდიაო!“ ჯვარის-კაცსაც, რომელიც დარაჯად ყოფილა მიყენებული ბრალდებულთან, განუმეორებია ეს სიტყვები და სასამართლოში მყოფთაც ესევე სიტყვები წარმოუთქვამთ დიდის სასოებით.

— პირუტყვთა დანაშაულობანი და ავაზაკობანი. საფრანგეთის მეცნიერი ლაკასენი, რომელსაც კარგადა აქვს შესწავლილი პირუტყვთა სულიერი ვითარება, ამბობს, რომ პირუტყვთა მიერ ჩადენილნი ავაზაკობანი ექვს ხარისხად განაწილდებაო. 1) ავაზაკობა, როცა პირუტყვს შიმშილი შეაწუხებს და ვისმე მოჰპარავს ან მოსტაცებს კუჭის გასაძღომელს საზრდოს; 2) ავაზაკობანი მაშინ, როცა პირუტყვი დედაა და თავის მუცლის ნაყოფს იცავს; ამ დროს პირუტყვი მეტად განმძვინვარებულია და ყველაზედ საშინელს ავაზაკობათაც ამ დროსა სჩადის; 3) როცა პირუტყვს სასაათად აქვს ყველაფრის გაფუჭება, ფეხქვეშ გაქელვა და სხვანი; 4) ავაზაკობანი პატივის და დიდების მოყვარეობის გამო—ამისთანა ავაზაკობათ უფრო უმეტესად მაიმუნები სჩადიან 5) ავაზაკობა, როცა პირუტყვებს ერთად თავის მოყვრა უყვართ და ვისმეზე გალაშქრებენ; 6) ავაზაკობანი სქესებრივ სურვილის დასაკმაყოფილებლად. საყურადღებო ის არის, რომ, ლაკასანის აზრით, მოშინაურებული პირუტყვები თავს იმაგრებენ თურმე ვნებათა ღელვისაგან და მშვიდობიანნი ხდებიანო.

— სასაცილო უსიამოვნება მოსვლიათ ამას წინად ვატიკანსა და იტალიის დამოუნას ერთმანერთში. რეიმსის ერთს ფირმას საუბილეიო საჩუქრად გაუგზავნია პაპასათვის 1,000 ბოთლი პირველ ხარისხოვან შამპანის ღვინისა. ეს გაგზავნილი ღვინო მისულა რომში,

---

რაოსაებრ გაშლილის ხის ფოთლებს და მცენარეებს, რომელნიც კამკამით ჩამოჩხრიალებდნენ და ერთვოდნენ ზღვასა.

ანტონიო ყოველს ღონესა ხმარობდა, როგორმე გაერთო პატარა ქალი და ნუგეშინი ეცა ყმაწვილისათვის, მაგრამ ყოველივე იმისი ცდა ამაო იყო. —ბოლოს ტირილსაც ველარ იშლიდა საცოდავი ანჟელიკა, თვალ-ცრემლიანი დადიოდა ოთახებში, დაღონებული და დადუმებული; ამ გვარი უსაშუალო მწუხარება გულს უკლავდა საბრალო ანტონიოს, მაგრამ რა ექნა!!. როგორც ერთად-ერთი მოსაგონარი სამშობლოსი ანჟელიკას გრძელ კუდიანი თუთიყუში დასდევდა უკან ოთახიდგან ოთახში. თუთიყუში ანჟელიკას თან მოჰყვა თავის სამშობლო ქვეყნიდამ და ყოველთვის დინჯად და დაღვრემილის სახით დასდევდა უკან, თითქო ესეც მოწყენილია და სწუხს თბილ ქვეყნების მოშორებას, სადაც ბრწყინვალე მზე აცხუნებდა და აელვარებდა მის ფრთებსა.

არ გაუვლია წელიწადს და ანტონიომ შეამჩნია ანჟელიკას, რომ იმის ლოყებს ელ-ფერი დაეკარგა, თვალები მიებნიდა და ტანზედაც მეტად გახდა.

ექიმმა სისუსტე შენიშნა და მიზეზი სისუსტისა-კი ვერ ახსნა; ეგ უთუოდ ხველით არის ავად და მაგის სენს რაიმე პსიქიური მიზეზი აქვსო.

ამ რიგად დღითი-დღე დნებოდა ანჟელიკა; ეხლა თითქმის სულ აღარ გამოდიოდა ოთახიდგან და ანტონიოც ცხადად ჰხედავდა, რომ ხელიდგან ეცლებოდა საყვარელი გაზრდილი ანჟელიკა.—ერთს დღეს ჰკითხა:

„რითა ხარ ავად, შვილოვო?“

„არაფრით, მამა!“ უპასუხა ანჟელიკამ.

გაიარა ზამთარმა; დადგა სუნნელოვანი გაზაფხული, აყვავდა მაგნოლია და ფორთოხალი. მოცოცხლდა ანჟელიკაც. მთელი დღე ბაღში იყო ხოლმე; ხან იჯდა თავის პატარა სავარძელში და ხან დასეირნობდა; მაგრამ იმის სევდიანს სახეს მაინც ეტყობოდა, რომ რაღაც მწარე ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას. ანტონიო სულ იმას ელოდა, რომ თითონ ანჟელიკა გასტეხოდა და ეთქვა მიზეზი ესეთის დაჩაგრულობისა; მაგრამ სჩანს საბრალო ყმაწვილმა არც თითონ იცოდა ეს მიზეზი გარკვევით!.. ბოლოს ერთხელ-კი წარმოსთქვა:

„ჩვენს კუნძულზე, ჩვენის სახლის ახლოს, ლაჟვარდ ცის ქვეშ, შრიალებდა ვალანოსის ხე! ოჰ, რა მშვენიერი და საუცხოვოა ის ხე! მე სულ იმაზედ ვფიქრობ, მგონია, რომ იმის ქვეშა ვარ და ნეტარებასა ვგრძნობ! ჩემი დარდი და წუხილი ის არის, რომ იმას მოვშორდი და, ვგონებ, სულაც ის ხეა მიზეზი, რომ ასე ავად ვიყავი. შენ როგორა ჰფიქრობ, მამავ!

„რა საკვირველია!“—შესძახა ანტონიომ,—მაშ გავეშუროთ, შვილო, იმ ბედნიერ კუნძულისაკენ, სადაც შრიალებს მშვენიერი ვალანოსის ხე. ანჟელიკამ გაიღიმა და უთხრა: „დიაღ, მამა, დიაღ, მე გავეშურები იქითაო!“ ერთის კვირის შემდეგ ანჟელიკას თავთ ედგა წმინდა სანთლის ანთებული სანთლები; ეს სანთლები უნათებდა საბრალოს შორს გზასა.

დასრულდა ყოველივე; დაიხშო ანტონიოს გული; სიკვდილმა მოსტაცა ეს პატარა არსებაცა და ამით გასწყდა ანტონიოსა და ქვეყნის შემაერთებელი ძაფიცა. დარჩა ანტონიო მარტოდ-მარტო, სულით დაობლებული.

პატრმა თავის ბაღში დაასაფლავა თავისი საყვარელი ანჟელიკა და თავისსავე ხელით დააყარა გულზე მიწა.

გაზაფხულის დამშვიდებულს საღამოს-კი ანტონიო ხშირად გადასცქეროდა საფლავის ყორეს და ფიქრით წაღებულს ხელში რჩებოდა გადუკითხავი ლოცვანი.

მოაწია ზაფხულმაც.—ირაჟრაჟებდა თუ არა, ანტონიო მიეშურებოდა თავის საალერსო საფლავისაკენ და იქ აღვიძებდა თავის მიძინებულს გრძნობებს. ერთს დილას შეამჩნია, რომ საფლავის შუა-გულს ამოუყრია შტოები რაღაც უცნაურ, ქორფა მცენარეს, რომელსაც ზურმუხტის ფერი ფოთლები გადაჰფურჩქვნოდა. ანტონიომ დაუწყო თვალიერება დიდის მოწიწებით. რაღაც განსხვავებულის სიმშვენიერით იზრდებოდა ეს ხეს მზგავსი მცენარე. საღამოს ჟამს, ოდეს ამ მცენარეს საამური ზაფხულის ნიავი არხევდა ხოლმე, ანტონიოს თვალ-წინ ეხატებოდა თავისი საყვარელი ანჟელიკა.

გარბოდნენ დღენი და ანტონიო უფრო მეტის გულ-მოდგინებით უვლიდა ამ ხეს და თან ფიქრობდა, ნეტავ რა ფერ ყვავილს გამოიბავს, თეთრს, წითელს, თუ ყვითელსაო?

ერთს დღეს გამოიარა აქეთ ვიღაც მგზავრმა; სახე მზისგან ჰქონდა დამწვარი და ამაზე ეტყობოდა, რომ თბილ ქვეყნებიდგან იყო მოსული; შეხედა თუ არა მგზავრმა ამ ხეს, სიამოვნების ღიმილმა გაუნათლა სახე და უთხრა ანტონიოს: „რა საუცხოვო ვალანოსი აღზრდილა თქვენ ბაღშიო!..“

„ყოვლის შემძლებელო!“ წამოიძახა ანტონიომ გაოცებით.—„მაშ ეს ვალანოსის ხეა?“

„ნამდვილად. მე არ მეგონა, თუ ამ ქვეყანაში იხარებდა ასეთი ხე!“

„Mon Dieu!“ შესძახა ანტონიომ და შემდეგ ნელის ხმით წაიბუტბუტა- „Bon dieu, vous m'avez donné celà!“

ამას შემდეგ ანტონიო მთელ დღეებს ამ ხის მოვლასა და ალერსში ატარებდა! საწყალი ანტონიო ხან წყალს ასხამდა, ხან ფოთლებს უსუფთავებდა, ხან შემოჰხვევდა ორსავე ხელებს და ჩაიკრავდა გულში.

გარბოდნენ წელნი და ჟამთა სვლას თან მისდევდნენ ვალანოსის ხეც და ანტონიოც; მხოლოდ პირველი დღითი-დღე ძლიერდებოდა და მეორე-კი თან-და-თან სუსტდებოდა და დნებოდა; ამის სიჭაბუკის დღენი დიდი ხანია გაჰქრნენ და ხე-კი მხოლოდ ეხლა შედიოდა სიჭაბუკეში. ვალანოსი დიდხანს არა მდგარა ამ თავისუფალ ადგილზე მარტოკა: გაშენდა ქალაქი და ამ ადგილსაც გარს შემოერტყნენ მცხოვრებნი.—მდიდრული ქვითკირის სახლები ამაყად დაჰყურებდნენ პატარა სახლსა და ბაღს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ისე შეევიწროებინათ ანტონიო, რომ ამ ხეზე ხელი აეღო, მაგრამ ანტონიო არ ელეოდა თავის სახლ-კარს; უვლიდა და ეხვეოდა თავის საყვარელს ხეს, როგორც სუროს ფოთოლი.—ხშირად რჩებოდა მწყურვალი, მშიერი, მაგრამ ყოველივეს ითმენდა და ამ თავის ერთად-ერთს ნუგეშს, ამ უკანასკნელს სასოებას-კი ვერა სთმობდა.—მოვიდოდნენ ვაჭრები, ჩაუყრიდნენ ხოლმე კალთაში ოქროებს, მაგრამ ანტონიო მსწრაფლ უარზე იდგა და შეაჩვენებდა ხოლმე ჩარჩებს: „დამანებეთ თავი, თქვე სატანებოო!“

ისე მოხუცდა საცოდავი ანტონიო, რომ ძლივს დაფანფალებდა ხოლმე მის ნუგეშის მცემელ ხესთან და ატარებდა მთელ დღეს იმის ალერსში. სიკვდილის შემდეგაც არ უღალატა თავის გაზრდილს: ეს ადგილი უანდერძა თავის მემკვიდრეს იმ პირობით, რომ არავითარი ვნება არ მისცემოდა ვალანოსის ხეს; ხოლო თუ დაარღვევდა ამ პირობას, ანდერძის ძალით ჰკარგავდა ყოველ უფლებას ანტონიოს საკუთრებაზედ.

—

დღესაცა სდგას ის ხე, ორ ვიწრო ღობეს შუა, კეკლუცად და ამაყად, ვით მშვენიერი და ნაზი არსება. თავის გარშემო ისეთს სურნელებას ავრცელებს, რომ იქაური ჰაერი დიდად განსხვავდება სიკეთით. მიზეზი ამისა ის არის ალბად, რომ ეს ვალანოსი აღმოცენდა საბრალო ანჟელიკას გულიდგანაო!..

ამ სიტყვებით დაასრულა ეს მოთხრობა ლედი ბლონდიმ.

ბ—ნა წ—სა

ხოლო დამოყნას დაუშვრია და დიდი გარდასახადი დაუდვია. ვატიკანის ფულიანი კაცები ამაოდ ცდილობდნენ თურმე დემტკიცებინათ, რომ ეს ღვინო პაპის პატივ-საცემლად არის გამოგზავნილი და გარდასახადი არ უნდა დეეწეროსო. ეხლა ამ საქმის გარდაწყვეტა იტალიის ფინანსთა მინისტრისათვის მიუნდვიათ.

— მთელის ქვეყნის ყველა სახელმწიფოთაგან თანხმობა გამოუცხადებიათ საფრანგეთის მსოფლიო გამოფენაში 1889 წ. მონაწილეობის მიღებისა შემდეგ სახელმწიფოთ: ინგლისსა, არგენტინის კონფედერაციას, ავსტრი-ვენგრიას, ბელგიას, ვენესუელას, საბერძნეთს, გვატემალას, გაიტის, ბრაზილიას, ეკვადორს, ზანზიბარს, იტალიას, კოსტა-რიკას რესპუბლიკას, ლიუკსენბურგის დიდს საჰერცოგოს, მაროკკოს, ნორვეგიას, ნიდერლანდებს, პარაგვაის, პერუს, სპარსეთს, პორტუგალიას, სერბიას, სიამის სამეფოს, ურუგვაის, შვეიცარიას, ჩილის და იაპონიას. დანარჩენ სახელმწიფოთა პასუხს 1888 წ. 1 თებერვლისათვის ან.

— რა ღირს განცხადება რომანზედ, რომელიც „Petit Journal“-ში იბეჭდება. განცხადებებზედ, რომელიც გაკრულ იქმნა პარიჟის ყველა უბნებსა, ქუჩებსა და კედლებზე და რომელშიაც გამოცხადებულია უმთავრესი რომანის გმირნი, დაუხარჯავთ 20,000 მან. ამ რომანსა ჰქვიან: „Les Remonde d'un ange“-ი.

დეპეშა

24 ნოემბერი

პეტერბურგი. გაზეთი „Восточное Обозрѣніе“ მომავალ იანვრიდგან მოყოლებული უნდა ბეჭდონ ირკუტსკში და არა პეტერბურგში. გაზეთის რედაქტორი იადრინცევი უკვე წასულა პეტერბურგიდგან ირკუტსკს.

გაზეთი „Новое Время“ იუწყება, რომ იუსტიციის სამინისტროში ადგენენ პროექტს იმის თაობაზე, თუ რომელ წლამდე უნდა დარჩნენ სამსახურში სასამართლო დაწესებულებათა მოხელენი. პროექტის აზრით, გამომძიებელს შეუძლიან იმსახუროს სანამ 55-ს წლისა გახდება, ოლქის სასამართლოს წევრს სანამ 60-ს წლისა გახდება და სასამართლო პალატის წევრს—65 წლამდე.

ბერლინი. გაზეთი «Post»-ი ამბობს: სადი-კარნოს არჩევა ერთის რომლისამე დასის საქმეა და ამიტომაც, გაზეთის აზრით, ახალი პრეზიდენტი გაზაფხულამდე თუ დარჩა ახალს ადგილზე, ისიც კარგი იქნება. გაზეთი „National Zeitung“-ი სწერს, რომ გერმანია ძალიან კმაყოფილია იმით, რომ პრეზიდენტად სრულიად სანდო კაცი აირჩია საფრანგეთმა. ეს არჩევანი «ფოსსოვის გაზეთის“ აზრით მშვიდობიანობის საბუთია; გაზეთი იხსენიებს იმპერატორის სიტყვებს: „გერმანიას სურს მშვიდობიანობა დაიცვას და ამასთანავე შეუძლია ყოველივე განსაცდელი აიცილოს თავიდამაო“.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ(1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

25 დღე ოთხშაბათი. წმ. კლიმენტისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ეკატერინესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 4—30. მთვარე 23 დღისაა.

კერძო განცხადებანი

ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ოც-და-მეხუთე (25) ტირაჟში, რომელიც მოხდა ამ 1887 წლის 2 ნოემბერს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა.

1) გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 28 მაისს 1874 წლის წესდების ძალით:

18 წლ. 7 თთვ. ვადით

1 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№—ოთხმოცი (80), თვრამეტი (18) და სამოც-და-ხუთი (65).

27½ წლით

2 სერიისა

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა —№№ ას სამოც-და-თექვსმეტი (176), თხუთმეტი (15), ოთხმოც-და-ჩვიდმეტი (97), ას ორმოც-და-ცამეტი (153), თექვსმეტი (16) და ორმოც-და-თხუთმეტი (55).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ოთხმოც-და-შვიდი (87).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ას ოც-და-ოთხი (124), სამოც-და-რვა (68) და ოც-და-ცხრამეტი (39)

3 სერიისა

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ ას ათი (110), ას ორმოც-და-ხუთი (145), ას ოც-და-ათი (130), ორმოც-და-თვრამეტი (58), სამოც-და-ორი (62) და ორმოც-და-ხუთი (45).

4 სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ სამოც-და-ათი (70).

5 სერიისა

ასის თუმნის (1.000 მ.), ღირსებისა—№ თხუთმეტი (15).

6 სერიისა

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№ ორმოც-და-შვიდი (47).

8 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა —№ ას ოც-და-სამი (123).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ რვა (8).

10 სერიისა

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ ოც-და-სამი (23) და ას ორი (102).

43½ წლით

6 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ოც-და-ოთხი (24) და ორმოც-და-ათი (50).

7 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ სამას სამოც-და-ცხრა (369).

8 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ას ოთხმოც-და-რვა (188), ოც-და-ერთი (21), ას სამოც-და-ცხრამეტი (179) და ას ცხრა (109).

9 სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ სამოც-და-თორმეტი 72).

11 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ოთხმოც-და თექვსმეტი (96) და ორას ოც-და-ექვსი (226).

54½ წლით

1 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ თოთხმეტი (14).

2 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ ცამეტი (13).

3 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ოთხმოც-და-ცხრა (89), ოთხმოცი (80), ოთხმოც-და თექვსმეტი (96) და ორმოც-და ცამეტი (53).

5 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ ცამეტი (13).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ას ოცი (120).

2) გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 17 თებერვალს 1881 წლის წესდების ძალით:

27½ წლით

1 სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ სამოც-და-თხუთმეტი (75).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ ორას ოთხმოც-და-თერთმეტი (291), სამას სამოც-და-თერთმეტი (371), ას ორმოც-და-თვრამეტი (158) და ოც-და-ორი (22).

2 სერიისა

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ რვაას ოთხმოც-და-ცხრამეტი (899), ას ორმოც-და-ცამეტი (153), ხუთას ცამეტი (513), ოთხას ოც-და-ცამეტი (433), ოთხმოც-და-ჩვიდმეტი (97), ხუთას სამოც-და-თერთმეტი (571), ექვსასი (600), ოც-და-ცხრა (29), სამას თხუთმეტი (315) და ას ორმოც-და-თექვსმეტი (156).

3 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ას ოც-და-ექვსი (126) და ას ორმოც-და-ცხრა (149).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№ ოთხმოც-და ცამეტი (93).

4 სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ცხრამეტი (19).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ ოც-და-ექვსი (26) და ოც-და-ოთხი (24).

5 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ თორმეტი (12).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ ორას სამოც-და-ორი (262) ორას სამოც-და-ათი (270) და სამოც-და-ხუთი (65).

6 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ სამოც-და-ცხრა (69).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№ ას ერთი (101).

7 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ორას სამოც-და-ხუთი (265), ას ცამეტი (113) და ორას სამოც-და-თვრამეტი (278).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ სამას ორმოც-და-ოთხი (344), ხუთი (5) და ორას ოც-და თვრამეტი (238).

8 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ორმოც-და-ექვსი (46) და ოც-და-ოთხი (24).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ჩვიდმეტი (17).

9 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ სამოც-და-თერთმეტი (71) და ორი (2).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ოც-და სამი (23).

10 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ოც-და-თხუთმეტი (35) და ოც-და-ჩვიდმეტი (37).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ორი (2).

11 სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ჩვიდმეტი (17).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ ოც-და-სამი (23) და ორას ორმოც-და-ორი (242).

12 სერიისა

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№ ორას ოც-და-ოთხი (224).

13 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ას ოც-და-თვრამეტი (138), ორას სამოც-და-ცამეტი (273), ორას ოთხმოც-და-ცხრამეტი (299) და ას თვრამეტი (118).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ერთი (1).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№№ ას რვა (108), ას ოც-და-ექვსი (126) და სამოც-და-ხუთი (65).

43½ წლით

1 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ ოც-და-სამი (23).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ერთი (1)

2 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ოც-და-რვა (28), ცხრამეტი (19) და ხუთი (5).

3 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ას თექვსმეტი (116), სამოც-და-ცხრამეტი (79), ორმოც-და-ორი (42) და ოც-და-ცამეტი (33).

4 სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ექვსი (6).

5 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ას ოც-და-ცამეტი (133), სამოც-და-ორი (62) და სამოც-და-ცხრამეტი (79).

6 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ სამოც-და-ათი (70) და ოც-და-შვიდი (27).

7 სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა—№ ოთხი (4).

8 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№ ორას ოთხმოც-და ერთი (281).

ასის თუმნის (1.000 მ.) ღირსებისა—№ სამოც-და-ოთხი (64).

9 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა—№№ ორმოც-და-თერთმეტი (51), ოც-და-სამი (23), შვიდი (7), ორმოც-და-ათი (50) და სამი (3).

13 სერიისა

ათის თუმნის (100მ.) ღირსებისა—№№ ოც-და-ჩვიდმეტი (37), ას შვიდი (107), ას თოთხმეტი (114) და ას ოც-და-ცხრა (129).

ჟირარდოვის მანუფაქტურების
უმთავრესს საწყობში

არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 4, 5, 30, 32, და 57

მიღებულია დიდ-ძალი სხვა-და-სხვა გვარი მატერია და ტილოეული, სახელდობრ:

წმინდა თეთრი ტილო დედაკაცთა და მამაკაცთა საცვლებისათვის.

სუფრის კუთვნილებანი 6, 12, 18 და 24 კაცისათვის, სუფრები, სალფეტები, პირ-სახოცები, ცხვირ-სახოცები ტილოსი და ბატისტისა.

ლეიბის გადასაკვრელი მატერიები, პარუსინა ტომრებისათვის და მზა მზარეული ტომრები.

წვიმა-მიუკარებელი ტილოები ბრეზენტებისათვის და თვით მზა-მზარეული ბრეზენტები ყოველ გვარის სიდიდისა და სხვანი, და სხვანი და სხვანი.

ბამბეულობა საკუთარის ფაბრიკიდამ, როგორც მაგალითებრ: მადაპოლამ, დომესტიკ, კრეპ, ტიროლის სხვილი ტილო და აგრეთვე ბამბის ტიკი საცვლებისათვის.

განყოფილება წინდებისა და ჩულქებისა:

მატყლისა, აბრეშუმისა, ფილდეკოსისა და ბამბისა, პერანგები, პერანგის ამხანაგები და ფუფაიკები, ქალებისა და ყმაწვილების ჩულქები და წინდები. შალის პერანგები და პერანგის ამხანაგები, პროფესსორის ეგერის ჰრილობით შეკერილი და სხვა და სხვა და სხვათა.

განყოფილება ბაქოშია, ოლგის ქუჩაზე, სახლი ბალაბეგ ლალაევისა.

დონნერი და ლეიტცი

(3—2)

Дов. цен. Тиф. 24 ноября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.